ოქმი:**ო63.63222832**
თარიღი:**10/10/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 43

ქ. სამტრედია. 10 ოქტომბერი, 2022 წელი.

2022 წლის 10 ოქტომბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე მ.შ. დავით ჯანელიძე მ.შ, ირაკლი მელაშვილი, ლიზა კრავეიშვილი მ.შ. ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213541 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

მ/შ, გ.არველაძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის

   Nგ- 63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

10. ინფორმაცია,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სექტემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

11. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

12. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227880 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, არაფინანსური აქტივის მუხლში თანხა მცირდება 11.0 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში 32.0 ათ.ლარით, სულ 43.0 ათ.ლარით; შესაბამისად, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 30.0 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯის მუხლში 10.0 ათ.ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლში 3.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა

არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227892 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონელი და მომსახურებიდან რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.30 ათ.ლარით; კვების ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით; რეკლამის ხარჯის მუხლში 1.50 ათ.ლარით; სხვა ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, სულ 4.50 ათ.ლარით, შესაბამისად, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 4.50 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება არაფინანსური აქტივის მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, სხვა სატრანსპორტო საშუალებების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 7.00 ათ.ლარით და აღნიშნული თანხით იზრდება, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლი. კერძოდ, ,,საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი''.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N 62-622227882 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 0.27 ათ.ლარით; ნორმატიული აქტების, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხარჯების მუხლში 0.13 ათ.ლარით; საოფისე ავეჯის მუხლში 3.20 ათ.ლარით; კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით; კანალიზაციის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით; კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 0.40 ათ.ლარით; შესაბამისად, თანხა იზრდება შემდეგ მუხლებში; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში 4.33 ათ.ლარით; ,,მივლინება ქვეყნის შიგნით'' - 0.27 ათ.ლარით; ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით; რბილი ინვენტარის, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით.

ასევე მცირდება თანხა არაფინანსურ აქტივების მუხლში სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვის 2.80 ათ.ლარით; შესაბამისად, იზრდება თანხა მუხლში, ,,სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული''- 2.00 ათ.ლარით და სხვა ინტელექტუალური და საკუთრების პროდუქტების მუხლში 0.80 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227887 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანხა მცირდება არაფინანსური აქტივების (არასაცხოვრებელი შენობები) მუხლში 4.20 ათ.ლარით; საქონელი და მომსახურების მუხლიდან კატრიჯების შეძენა, დატუმბვის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; სულ 4.40 ათ.ლარით. შესაბამისად, თანხა იზრდება მივლინების ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ყველა სახის საგამომცემლო სასტამბო ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით; რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; ოფისის ხარჯის მუხლში, რომელიც არაა კლასიფიცირებული 0.20 ათ.ლარით; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 2.50 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227884 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის შემოსავლების გეგმა იზრდება 1.00 ათ.ლარით და 2022 წლის შემოსავლების გეგმა განისაზღვრება სულ 183.00 ათ.ლარით. შესაბამისად, ხარჯების ნაწილში, სუბსიდიის გეგმაში, თანხა იზრდება სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საჭიდაო კლუბი ფალავანი’’-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის შემოსავლების გეგმა იზრდება 8.0 ათ.ლარით და 2022 წლის სუბსიდიის შემოსავლის გეგმა განისაზღვრა 218.50 ათ.ლარით. შესაბამისად ხარჯების ნაწილში, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 6.00 ათ.ლარით; რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით; სამედიცინო ხარჯების მუხლში 0.50 ათ.ლარით; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227888 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“-ს, 2022 წლის

სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის შემოსავლის გეგმა იზრდება 1.10 ათ.ლარით და სუბსიდია განისაზღვრება სულ 229.30 ათ.ლარით, შესაბამისად, თანხა იზრდება ხარჯების ნაწილში შრომის ანაზღაურება, თანამდებობრივი სარგოს მუხლში 1.10 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227893 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, სუბსიდიიდან შემოსავლების გეგმა იზრდება 4.00 ათ.ლარით. შესაბამისად, თანხა იზრდება ხარჯების ნაწილში, კვების ხარჯის მუხლში 4.00 ათ.ლარით. (2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცხენების საკვების ხარჯი საბაზრო ფასების ზრდის გამო არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა 2023 წლის იანვარ-თებერვალში უზრუნველყონ ცხენების კვების ხარჯი).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227889 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ., სამტრედიის მუნიციპალიტეტის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.9 ათ.ლარით; კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში 0.5 ათ.ლარით; სულ 1.4 ათ.ლარით, შესაბამისად, თანხა იზრდება საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.9 ათ.ლარით, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.5 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227897 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

ცხრა თვეში ბიუჯეტის მიმართ ხუთჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 35869,8 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 17112,0 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 12188,8 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით,“ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის, თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -660,0 ათასი ლარი.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი, რომელიც განაწილებულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სექტემბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 22329,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 88,1 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 12398,7 ათასი ლარი, რაც სექტემბრის თვის გეგმის 98,4 %-ია, დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 10358,0 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 98,2 %-ით,

ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 78,3 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 99,1%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1962,4 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -99,5 %-ით.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა -7362,4 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან ცხრა თვეში მიღებულია 2069,3 ათასი ლარი, გეგმა 1705,1 ათასი ლარი, შესრულება (121,4%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 85,6 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -802,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 304,4 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 130,7 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 468,2 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 24,6 ათ.ლარი, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 146,1 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 107,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 499,4 ათ.ლარი, კერძოდ, შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 93,9 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან -405,5 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 105,4%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის სექტემბრის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან, (15119,0 ათასი ლარი), შემოსულია 7210,8 ათასი ლარით მეტი.ზრდის ტემპი არის 147,7%-ი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 20335,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 69,2%-ია (ცხრა თვის გეგმა -29366,0 ათასი ლარი).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 ოქტომბრის** N62-622227885 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ‘‘, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში შეტანილი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N1456 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა შემცირდა **134.6** ათ. ლარით და განისაზღვრა 5,340.5 ათ. ლარის ოდენობით. მოცემული განკარგულების შესაბამისად, შემცირდეს (**კოდი**

02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 105,4 ათ. ლარით, და (**კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის** კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, გეგმა - 29,2 ათ. ლარით. (იხ. დანართი N1456 განკარგულება) (შეტანილი ცხრილში).

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე, დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 208.0 ათ. ლარით და ხელშეკრულებით განესაზღვრა 474.4 ათ. ლარის ოდენობით. შესაბამისად, გაიზარდოს კოდი 04 02 ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა - 208.0 ათ. ლარით.

9 თვის ანალიზიდან გამომდინარე გაიზარდოს ადგილობრივი შემოსავლების ბანკში დარიცხული დეპოზიტის გეგმა - 30,0 ათ. ლარით.

შემცირდეს სულ - 402.2 ათ. ლარით:

- **(კოდი 04 04) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 26,0 ათ. ლარით; (ასახულია ebudge.ge- ში და ცხრილში).
- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 60,9 ათ. ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა - 1,7 ათ. ლარით;
- **(კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 56,5 ათ. ლარით;
- **კოდი (05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 199.2 ათ. ლარით;
- **(კოდი 02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 1,0 ათ. ლარით;((ასახულია ebudge.ge- ში და შეტანილია ცხრილში).
- **(კოდი 01 00) მმართველობა და საერთო დანიშნულების** ხარჯების გეგმა შემცირდეს 20,0 ათ. ლარით.
- **(კოდი 020202) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს - 4,7 ათ.ლარით.
- **(კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯის გეგმა შემცირდეს - 32,2 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს 432,2 ათ. ლარით:

- **(კოდი 02 03 03)სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** საქონელი და მომსახურების გეგმა -17,0 ათ.ლარით (ასახულია ebudge.ge- ში და ცხრილში).
- **(კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის** კაპიტალური ტრანსფერები,

რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის გეგმა - 49,3 ათ. ლარით. (ასახულია ebudge.ge- ში და ცხრილში)

- **(კოდი 03 03) დასუფთავების საქონელი და მომსახურეობის გეგმა გაიზარდოს - 9,0** ათ.ლარით (ასახულია ebudge.ge- ში და ცხრილში).
- **კოდი (05 01 02 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 4,0 ათ.ლარით.
- **(კოდი 05 01 02 06) ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი "ფენიქსი" სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს -1,0 ათ.ლარით.**(ბიუჯეტში,).
- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 75,7 ათ.ლარით (ზედამხედველობა და ჯიხაიშის გზის თანადაფინანსება).
- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** გრანტების გეგმა გაიზარდოს - 115,0 ათ. ლარით (სოფ. გამოჩინებულში ზანდოს მიმართულებით გზის რეაბილიტაცია).
- **(კოდი 05 01 02 07) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს 8,0 ათ. ლარით;
- **(კოდი 02 02 02) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურეობა გაიზარდოს 5,0 ათ. ლარით **.**

- **(კოდი 02 03 01) საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების** საქონელი და მომსახურების გეგმა გაიზარდოს -1,3 ათ.ლარით.

- **(კოდი 01 01 02) სამტრედიის მერიის** საქონელი და მომსახურების გეგმა გაიზარდოს -0,6 ათ. ლარით.
- **(კოდი 05 05 02) კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების** გრანტების გეგმა გაიზარდოს - 3,3 ათ.ლარით.

  (კოდი 05 01 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს -1,1 ათ.ლარით.
- **(კოდი 02 03 05) ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის** არაფინანსური აქტივის გეგმა გაიზარდოს 1,6 ათ. ლარით.
- **(კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 140,3 ათ. ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- **(კოდი 01 01 02) სამტრედიის მერიის** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 4,7 ათ. ლარით (სამედიცინო ხარჯები - 3,0 ათ. ლარით, რბილი ინვენტარი და ჰიგიენა - 1,7 ათ. ლარით) და შესაბამისად, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების გეგმა - 4.7 ათ. ლაირით.
- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 66,1 ათ. ლარით და შესაბამისად, გაიზარდოს საქონელი და მომსახურეობის გეგმა.
- **(კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს 15,9 ათ.ლარით და შესაბამისად, გაიზარდოს

ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(კოდი 02 02 03 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივის გეგმა შემცირდეს -1.6 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს საქონელი და მომსახურეობის გეგმა.
- **(კოდი 04 03) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის** არაფინანსური გეგმა შემცირდეს 4,2 ათ. ლარით და შესაბამისასდ, გაიზარდოს საქონელი და მომსახურეობის გეგმა.
- **(კოდი 03 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** არაფინანსური აქტივის გეგმა შემცირდეს 7,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.

- **(კოდი 03 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს -11,0 ათ. ლარით და შესაბამისად, გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213541 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის

Nგ- 63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

10. ინფორმაცია,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სექტემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

11. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

12. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2022 წლის 11 ოქტომბერს, 11^{00} საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი